Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

მასტერი « ევროფილოსოფია » - კანდიდატების მიღება 2011 წლისათვის – კანდიდატთა საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 2011 წლის 28 იანვარი

ერასმუს მუნდუს მასტერი, “გერმანული და ფრანგული ფილოსოფია ევროპის სივრცეში” (ევროფილოსოფია), მსოფლიოს მასშტაბით სტუდენტებს სთავაზობს ორ წლიან, სპეციალიზირებულ, მაღალი დონის სასწავლო პროგრამას, გერმანული და ფრანგული ფილოსოფიისა და ევროპის კულტურულ სივრცეში მათი ურთიერთზეგავლენის სფეროებში.

ყოველწლიურად, მასტერი “ევროფილოსოფია” აწარმოებს შერჩევას :

- დაახლოებით 10 სტუდენტს, ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოდან, რომლებსაც, **12 თვეზე მეტი არ უნდა ჰქონდეს გატარებული ევროკავშრში,** მიენიჭებათ **ერასმუს მუნდუსის წლიური A სტიპენდია, სიდიდით, 20800 ევრო**, რათა ისწავლონ, ევროფილოსოფიის კონსორციუმის სამ ევროპულ უნივერსიტეტში (A სტიპენდიის ბენეფიციარი სტუდენტების მონაწილეობის ხარჯი 2400 ევროს უტოლდება სემესტრში).
- დაახლოებით 8 სტუდენტს, ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოდან, რომლებსაც, **12 თვეზე მეტი აქვთ გატარებული ევროკავშრში**, მიენიჭებათ **ერასმუს მუნდუსის წლიური B სტიპენდია, სიდიდით, 9000 ევრო,** რათა ისწავლონ, ევროფილოსოფიის კონსორციუმის 2 ევროპულ უნივერსიტეტში და ერთ არაევროპულ, ევროფილოსოფიის კონსორციუმთან ასოცირებულ უნივრსიტეტში (B სტიპენდიის ბენეფიციარი სტუდენტების მონაწილეობის ხარჯი 750 ევროს უტოლდება სემესტრში).

სწავლის პროცესი და დიპლომი

ევროფილოსოფიის მასტერის სტუდენტები ორი სემესტრის განმავლობაში კონსორციუმის ორ უნეევერსიტეტში სწავლობენ. მესამე და მეოთხე სემესტერებს კი, ერთი და იგივე უნივერსიტეტში ატარებენ.

ორი წლის განმავლობაში მუშაობენ საკვლევ თემაზე. ნაშრომის ხელმძღვანელად ინშნება ლექტორი-მკვლევარი იმ უნივერსიტეტიდან, სადაც სტუდენტი ბოლო ორი სემესტრის მანძილზე მოღვაწეობს.

თითოეული წელიწადი დახურულად მიიჩნევა 60 კრედიტის მიღებისას.

Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შეთხვევაში, ერასმუს მუნდუსის სტუდენტი იღებს **ევროფილოსოფიის კონსორციუმის სამი უნივერსიტეტის მასტერს.**

კანდიდატურის წარდგენის პირობები

ევროფილოსოფიის სასწავლო პროგრამის კანდიდატებს მოეთხოვებათ :

- საშუალო სკლის დიპლომის მოპოვებიდან, სულ მცირე, სამი წლის შესაბამისი განათლების დონე (ითვლება 180 კრედიტის ექვივალენტი), ან "Licence"-ის შესაბამისი დიპლომი (Bachelor) LMD-ს (Licence, Master, Doctorat) სისტემის მიხედვით ;
- განვლილი საუნივერსიტეტო კურსი ფილოსოფიისა და ფილოსოფიის ისტორიის განხრით ;
- გერმანული და/ან ფრანგული ენის წერის და კითხვის ცოდნა, იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი მათგანი იციან, ვალდებული არიან გაიარონ, ევროფილოსოფიის მასტერის ფარგლებში შემოთავაზებული, მეორე, მათთვის უცნობი ენის ინტენსური კურსი ;
- ვალდებულება აიღონ გაიარონ ევროფილოსოფიის ორ წლიანი კურსი.

კანდიდატურის წარდგენი პროცედურა

კანდიდატებმა უნდა შეავსონ A და B ტიპის სტიპენდიების მოთხოვნის ანკეტა, რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებებლია შემდეგ მისამართზე : http://www.europhilosophie.eu/mundus/spip.php?rubrique16

ერასმუს მუნდუსის სტიპენდიის კანდიდატების ანკეტები უნდა გაიგზავნოს ელ. მისამართზე და ფოსტით **2011 წლის 28 იანვრამდე.**

დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად დაუკავშირდით შემდეგ ვებ გვერდს : www.europhilosophie.eu